

ზაალ კიკვიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
თბილისი

zaal.kikvidze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ინტერფიქსი, აფიქსი, სოციოტერმინოლოგია.

ინტერფიქსი, როგორც ტერმინი და ცნება:

სოციოტერმინოლოგიური მიდგომა

წინამდებარე სტატიაში საკვლევი თემატიკის მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ ავირჩიეთ სოციოტერმინოლოგია, რომელიც უპირატესობას ანიჭებს დესკრიფციულ მეთოდს პრესკრიფციულის საპირწონედ; იგი შეისწავლის ტერმინებს (მათს წარმოშობას, ჩამოყალიბებას, ურთიერთობას სხვა ერთეულებთან და მისთ.) იმ კონტექსტების გათვალისწინებით, რომლებშიც ისინი გვხვდება. ეს მიმართულება ჩაისახა და თავდაპირველად განვითარდა ფრანგულენოვან ქვეყნებში (ბულანჟე 1991; გოდენი 1993) და მოგვიანებით გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში. აღნიშნული მიდგომა ჩვენ უკვე გამოვიყენეთ სოციოლინგვისტიკური ტერმინოლოგიის ზოგიერთი ასპექტის კვლევისას (კიკვიძე 2017).

ინტერფიქსის, როგორც არაერთი წინააღმდეგობის შემცველი ტერმინისა და ცნების, შესასწავლად სოციოტერმინოლოგიური მიდგომა ერთ-ერთ ყველაზე ადეკვატურ არჩევნად მიგვაჩნია. ეს მიდგომა იმისათვისაა საჭირო, რათა დავინახოთ არა მარტო ის, რას *წარმოადგენს* ინტერფიქსი, არამედ ისიც, *რა არ არის* ინტერფიქსი.

მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დასაწყისში იოჰან როიხლინმა (1506) შემოგვთავაზა ტერმინი „აფიქსი“, რომელმაც თანდათან მკვიდრად მოიკიდა ფეხი, საენათმეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდა აფიქსის ნაირგვარი სახეობის აღმნიშვნელი ტერმინები. თუ გადავხედავთ სწავლების სხვადასხვა საფეხურისათვის განკუთვნილ ენათმეცნიერების სახელმძღვანელოებს, დავინახავთ, რომ მათი ავტორები უმეტესწილად საუბრობენ ტიპოლოგიურად ყველაზე ხშირი და გავრცელებული დერივაციული და რელაციური ინვენტარის შესახებ; ესენია: „პრეფიქსი“ („თავსართი“),

„სუფიქსი“ („ბოლოსართი“), უფრო იშვიათად „ინფიქსი“, „ტრანსფიქსი“ და „ცირკუმფიქსი“ (იხ. მაგ., ნეზიერიძე 1991: 143-144). პრეფიქსისა და სუფიქსისათვის ზოგჯერ გამოიყენება საერთო აღმნიშვნელი „ადფიქსი“, რაც ფაქტობრივად „ინფიქსის“ საპირწონეა. ცირკუმფიქსის სპეციფიკიდან გამომდინარე (იგი დაერთვის ფუძეს ერთდროულად როგორც თავში, ასევე ბოლოში), მის ბადლად გამოიყენება „პრეფიქს-სუფიქსი“ („თავსართ-ბოლოსართი“). მათ გარდა საენათმეცნიერო ლიტერატურაში აფიქსის სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი არაერთი ტერმინი გვხვდება: „ინტერფიქსი“, „სიმულფიქსი“, „დუპლიფიქსი“, „დისფიქსი“ და ა. შ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში „ინტერფიქსი“ (ლათ. *inter* 'შორის' + *fixus* 'მიმაგრებული'; მის ქართულ შესატყვისად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „შუასართი“) იხმარება ძირითადად ორი ტიპის ენობრივ ერთეულთა აღსანიშნავად: 1) ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის არმქონე ერთეული, რომელიც გვხვდება კომპოზიტში მის კომპონენტთა შესაყარზე (მაგ., ქართული *ბრახ-ა-ბრუხ-ი*; ჰოლანდიური *boek-en-kast* 'წიგნების კარადა'); 2) მნიშვნელობის არმქონე ერთეული, რომელიც გვხვდება ფუძესა და სუფიქს შორის, ე.ი. ერთგვარი პრესუფიქსი (მაგ., რუსული *пе-в-ец* 'მომდერალი' (<*петь* 'მღერა'); ესპანური *puebl-ec-ito* 'პატარა სოფელი' (<*pueblo* 'სოფელი')). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ეს ორი მოვლენა ონტოლოგიურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, არ იქნება გასაკვირი ამ ტერმინთან და მის აღსანიშნ ცნებასთან დაკავშირებული აზრთა დიდი სხვადასხვაობის არსებობა. ღირსსაცნობია, რომ ცნებითი გარდასივსადე შესატანია ტერმინის საკითხშიც.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით, ეს ტერმინი პირველად დასტურდება ამერიკელი ლინგვისტის სემუელ ჰოლდემანის 1865 წელს გამოცემულ წიგნში. იგი მას მხოლოდ ერთხელ, ისიც სქოლიოში, ახსენებს (ჰოლდემანი 1865: 27).¹

ერთი შეხედვით, ასეთი მონაცემის კვალად შემდგომი პერიოდის ავტორების მხრიდან უფრო მოსალოდნელია აქტიურობა ტერმინის იერსახის ცვლილების, ალტერნატიული ტერმინოლოგიური ერთეულ(ებ)ის შემოტანის, ტერმინის მნიშვნელობის დაზუსტებისა და

¹ თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს დედნისეული ტექსტი: "The term *interfix* is hardly necessary for *ad* in *anim-ad-vert*, or *t* inserted as a fulcrum between two vowels as *ego-t-ism*" (ჰოლდემანი 1865: 27).

მისთანათა თვალსაზრისით, და არა პიონერობაზე პრეტენზიის წამოყენება. ფაქტები საპირისპიროს მეტყველებს. ეს ფაქტები საგანგებოდ უნდა განვიხილოთ; მათი შინაარსის, მოტივაციის, ქრონოლოგიისა და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით, ისინი უნდა დავყოთ ორ ნაწილად: პირველი მათგანის ასპარეზია რუსული ენათმეცნიერება, ხოლო მეორისა – რომანული.

აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინთან დაკავშირებით რუსულენოვანი ავტორები ზოგჯერ მეტისმეტ კატეგორიულობას ამჟღავნებენ; ასე, მაგალითად, „ტერმინი ინტერფიქსი შემოიტანა ნ. ს. ტრუბეცკოიმ 1934 წელს. საბჭოურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იგი შემოიტანა ა. მ. სუხოტინმა ოთხი წლის შემდეგ“ (ბარულინი 2017: 79). სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ ეს მტკიცება არანაირად არ შეესაბამება სინამდვილეს: 1) ნ. ს. ტრუბეცკოის არცერთ ნაშრომში არ გვხვდება ტერმინი „ინტერფიქსი.“ ერთი კია, რომ 1934 წელს გამოქვეყნებულ მომცრო წიგნში მას შემოაქვს არა ეს ტერმინი, არამედ მისი ბადალი ცნება,¹ ე.წ. საკავშირებელი მორფემა (Verbindungsmorphem) (ტრუბეცკოი 1934); 2) ცნობას სუხოტინის მიერ ტერმინ „ინტერფიქსის“ არათუ „საბჭოურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში“ შემოტანის, არამედ საერთოდ მისი შექმნისა და შემოღების შესახებ ერთხმად იმეორებს თითქმის ყველა რუსულენოვანი ავტორი, რომელიც თუნდაც გაკვრით ეხება აღნიშნული ენობრივი ერთეულის საკითხს. როგორც ამ ტექსტების შინაარსიდან ჩანს, მათი ავტორების უმრავლესობა ა. ა. რეფორმატსკის 1967 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოს ეყრდნობა: ერთ-ერთ სქოლიოში ავტორი წერს, რომ „ტერმინი შემოგვთავაზა ა. მ. სუხოტინმა და მას მხარი დაუჭირა მ. ვ. პანოვმა“ (რეფორმატსკი 1996: 143, სქ. 1 (წინამდებარე ნაშრომში ვსარგებლობთ ამ სახელმძღვანელოს გვიანდელი რეპრინტით)); აღნიშნულის დასადასტურებლად იგი იქვე უთითებს პანოვის სტატიას (1959). მის მიერ დამოწმებულ ნაშრომში მართლაც გვხვდება ლექსემა „ინტერფიქსი“ სამჯერ, ოღონდ ერთსა და იმავე გვერდზე და ერთსა და

¹ სიზუსტისათვის მოგვყავს ავტორისეული განმარტება: „საკავშირებელი მორფემები წარმოადგენს სიტყვათა ნაწილებს, რომელთაც ვერ მივაკუთვნებთ ვერც ფუძესა და ვერც დაბოლოებას, და რომელთა მორფოლოგიური ფუნქცია დაიყვანება ფუძისა და ფლექსიური მორფემის შეერთებამდე“ (ტრუბეცკოი 1934: 14). როგორც ვხედავთ, ტრუბეცკოი გულისხმობს არა საკუთრივ ინტერფიქსს, არამედ ე.წ. პრესუფიქსს, ანტესუფიქსს.

იმავე პარაგრაფში (პანოვი 1959: 35).¹ და მაინც, ამ ტექსტში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, ვინ შემოიღო ჩვენთვის საინტერესო ტერმინი; არც ა. მ. სუხოტინია ნახსენები და არც მისი რომელიმე ნაშრომი და მოწმობული. სამაგიეროდ, სხვა ტექსტში პანოვი ორგანო ამტკიცებს აღნიშნულს: „ა. მ. სუხოტინის ტერმინია“ (პანოვი 2017: 119, სქ. 24); „ხოლო თვით ტერმინი ინტერფიქსი მომდინარეობს ა. მ. სუხოტინისაგან“ (იქვე: 270, სქ. 3). ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაშიც არ გვაქვს სათანადო დამოწმება. ასე ხდება აბსოლუტურად ყველა ავტორთან; ისინი მხოლოდ დეკლარირებით კმაყოფილდებიან.² ამგვარად, ჯერჯერობით ცნობა ტერმინ „ინტერფიქსის“ შემოღების შესახებ რჩება რუსული საენათმეცნიერო ტრადიციის ოდენ დეკლარატიული ნარატივის ნაწილად (იგივე სურათი გვაქვს ამ ნარატივით ნასაზრდოებ სხვა ქვეყნების საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც (იხ. მაგ., მატიაშევიჩი 2007)).

ინტერფიქსთან დაკავშირებული „ტერმინოლოგიური გამოწვევის“ მეორე ნაკადი რომანულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშია პოვნირი. რომანულ ენებში (ყველაზე კარგად – ესპანურში) შენიშნულია ერთგვარი პრესუფიქსი, ე.ი. მნიშვნელობის არმქონე აფიქსთაშორისი ელემენტი, რომელიც დაჩნდება, მაგალითად, ფუძეზე კნინობითობის გამომხატველი სუფიქსის დართვისას (ფუძესა და სუფიქსს შორის: *camion-c-ito* „პატარა სატვირთო მანქანა“). იაკოვ მაღკილი ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია, ვის კალამსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნაშრომები ინტერფიქსის შესახებ, და ვის სახელსაც თითქმის ყოველთვის ახსენებენ, როდესაც განიხილება ეს ენობრივი მოვლენა როგორც

¹ «В случае *сорвиголова*, *скулидом* элемент -и превратился в интерфикс; превращение флексии в интерфикс, конечно, грамматический процесс, но он не сводится к созданию особого аффикса или аффиксоида (имеени – соединительной гласной, интерфикса)» (პანოვი 1959: 35).

² ღირსსაცნობია, რომ ვ. იარცევას რედაქტორობით გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში „ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი“ არის სიტყვა-სტატია „აფიქსი“ და, თითოეული სტატიისათვის გამოყოფილი სივრცის შეზღუდულობის მიუხედავად, მასში მოინახა ადგილი იმის სათქმელად, რომ ტერმინი „ინტერფიქსი“ შემოთავაზებულია ა. სუხოტინისა და მ. პანოვის მიერ (დამოწმების გარეშე) (იარცევა 1990: 59-60), და, სამაგიეროდ, არსადაა ნახსენები ი. როიხლინი, რომლის სახელსაც უკავშირდება ტერმინ „აფიქსის“ შექმნა. იგივე ვითარებაა ამ ლექსიკონის უფრო გვიანდელ გამოცემაშიც (იარცევა 1998: 59). მართლაც, ერთადერთი წყარო, რომელსაც უთითებენ, არის ა. რეფორმატსკის ზემოხსენებული ნაშრომი (იხ. მაგ., ზემსკაია 2011: 118).

რომანულ ენებში, ისე ზოგადი, ტიპოლოგიური თვალსაზრისით; ამასთანავე, იგი ითვლება ამ ტერმინის ერთ-ერთ დამამკვიდრებლად.¹ 1949 წელს მან გამოაქვეყნა სტატია რომანული ენების აფიქსაციის საკითხებზე; როგორც სათაურში, ისე ტექსტში იგი იყენებს ტერმინს „ინფიქსი“ (მალკილი 1949). ოთხი წლის შემდეგ ჰ. ლაუსბერგმა გამოაქვეყნა სარეცენზიო ხასიათის შენიშვნები რამდენიმე სხვადასხვა ნაშრომზე, რომელთა შორის მალკილის ზემოხსენებული სტატიაც მოხვდა. მის შესახებ საუბრისას ლაუსბერგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „უმჯობესი იქნებოდა, თუ მას ინტერფიქსად მოვიხსენიებდით, რადგან იგი გვხვდება ფუძესა და სუფიქსს შორის. ინტერფიქსების ჩართვას არა სემანტიკური, არამედ რიტმული საფუძველი უნდა ჰქონდეს“ (ლაუსბერგი 1953: 229). აღსანიშნავია, რომ მალკილმა მადლიერებით მიიღო კოლეგის რჩევა და მომდევნო ნაშრომებში უკვე ადეკვატურად გამოიყენა ერთმანეთისაგან ინფიქსი და ინტერფიქსი² როგორც ცნებითი, ასევე ტერმინოლოგიური თვალსაზრისით (იხ. მაგ., მალკილი 1958). აღწერილი ვითარება შემდეგი სიტყვებითაა გადმოცემული სამეცნიერო ლიტერატურაში: ასე იყო, „სანამ ჰ. ლაუსბერგმა, *ინტერფიქსების* ნამდვილმა ‘მამამ’, არ გააკრიტიკა იგი ამ მხრივ“ (იმასი 2005: 255).

მაშასადამე, ტერმინოლოგიური ასპექტის შესახებ ერთგვარი შუალედური დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელია: 1. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ინტერფიქსი, როგორც ტერმინი, ყველაზე ადრე გვხვდება 1865 წელს დაბეჭდილ ნაშრომში, რომლის ავტორია ს. ჰოლდემანი; 2) რუსულ საენათმეცნიერო ტრადიციაში გავრცელებულია ერთგვარი დეკლარატიული ნარატივი, რომ ეს ტერმინი ა. მ. სუხოტინმა შემოიტანა 1938 წელს. მას დეკლარატიულს იმიტომ ვუწოდებთ, რომ ამ მტკიცებას არ ახლავს დამოწმება, ე.ი. ფაქტობრივი დადასტურების გარეშე;³ 3. რომანულ ენათმეცნიერებაში

¹ არსებობს ისეთი ავტორიც, რომელიც აცხადებს, რომ სწორედ ი. მალკილმა შექმნა ეს ტერმინი (ქეი 1989: 337), რაც, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

² აი, რას ამბობს ი. მალკილი საკუთარი თავის შესახებ „მე ჯერ კიდევ ვსარგებლობდი ინფიქსის კატეგორიის უსაზღვრო გავრცობით“ (მალკილი 1974: 304).

³ ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ ა. მ. სუხოტინის ბიბლიოგრაფიაში ვერ დავადასტურეთ 1938 წელს დაბეჭდილი რომელიმე ნაშრომი. მხოლოდ ერთგან, და ისიც სხვა საკითხთან დაკავშირებით, მ. ვ. პანოვი ახსენებს მის 1938 წლის

აღიარებულია ჯერ ჰ. ლაუსბერგისა და შემდეგ ი. მალკილის დამსახურება ამ ტერმინის აქტუალიზაციისა და დამკვიდრების საქმეში.

ამით არ ამოიწურება ტერმინოლოგიური ასპექტი, რადგან ჩვენთვის საინტერესო ენობრივი მოვლენა მრავალი სხვადასხვა ერთეულით აღინიშნებოდა და აღინიშნება როგორც ინტერფიქსის შემოღება-დამკვიდრებამდე, ასევე მის შემდეგ. ზემოთ უკვე ვახსენეთ ტრუბეკოისეული „საკავშირებელი მორფემა“ (*Verbindungsmorphem*); აქვე უნდა ვახსენოთ თითქმის იმავე ყალიბის ტერმინი *przyrostek w funkcji konektywnej* „საკავშირებელი ფუნქციის მქონე ბოლოსართი“ (ნეტებერგი 1961); ამავე ყალიბისაა ტერმინი „კონკატენატორი“ (შაპირო 1967). იმის მიხედვით, თუ უპირატესად რომელი სახის ინტერფიქსს გულისხმოდნენ, სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარ აღნიშნავს იყენებდა; მაგალითად, რომანულ ენათმეცნიერებაში ძირითადად პრესუფიქსები აინტერესებდათ და ტერმინოლოგიური ერთეულებიც შესაბამისია: *infisso peculiare inserito fra il primitive e il suffisso veramente logico, suffisso secondario o sillaba intercalata, elemento di derivazione, crochet, antisuffisso, presuffisso, avansuffisso* და ა.შ. გერმანიკულ ენათმეცნიერებაში მეტი აქცენტია გადატანილი ძირთა შემაერთებელ ინტერფიქსზე; ეს შესაბამის ტექსტებში პოვნიერ ტერმინებსაც ეტყობა: *linking element, linking morpheme, linker, Fugenelement, Fugenzeichen, Fugenmorphem, Fuge, connector* და ა.შ. რუსისტიკაში ორივე ასპექტი აინტერესებთ და აქაც პოვნიერია მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია: *структема, вставка, прокладка* და ა.შ. გვხვდება ისეთი ტერმინები, რომლებიც აზუსტებს და ხაზს უსვამს ინტერფიქსის სემანტიკურ თუ ფუნქციურ თავისებურებებს; ასეთებია: *ასემანტემა, ცარიელი მორფი, სუბმორფი, კვაზიმორფი, პარამორფემა* და ა.შ. არსებული ტერმინოლოგიური ერთეულების ამგვარი სიუხვე და სიჭრელე იმის მაჩვენებელია, რომ საკითხი ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული სათანადო დონეზე და სადისკუსიო ასპექტები კვლავაც მრავლად.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ინტერფიქსთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიურ ასპექტებზე, ამგვარ თემებს ქვემოთაც შევხებით, რადგანაც ამჯერად ცნებითი ასპექტები უნდა განვიხილოთ; ტერმინოლოგიური და ცნებითი საკითხები კი

ლექციებს (პანოვი 1988: 44), ოლონდ სხვა შემთხვევების მსგავსად აქაც არანაირი დამოწმება არ გვაქვს.

ლოგიკურადაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან.

სწორედ მათი ლოგიკური ურთიერთგადაჯაჭვულობის წყალობით იყო, რომ გაჩნდა ინტერფიქსთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნებითი პრობლემა, რაც გარკვეულწილად უკვე წარმოვაჩინეთ კიდევ ზემოთ. ეს პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, არა მის ორ სახეობაში, არამედ ტმესისა და ინფიქსის ცნებებთან აღრევაში მდგომარეობს. ამიტომაც, აუცილებლად მოგვაჩნია მათ შესახებაც მსჯელობა.

როდესაც ს. ჰოლდემანის პიონერობაზე ვსაუბრობდით, მისი ციტატაც დავიმოწმეთ (იხ. სქ. 1), სადაც ინტერფიქსის საილუსტრაციოდ მოყვანილი ერთ-ერთი მაგალითი სინამდვილეში სწორედ ტმესია და სხვა არაფერი (*anim-ad-vert*).

რადგანაც სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი აღრევა არაიშვიათ მოვლენას წარმოადგენს, საჭიროდ ვცანით, რომ ამ ენობრივი მოვლენისა და შესაბამისი ტერმინის შესახებაც გვეთქვა ორიოდ სიტყვა.

ტმესი (<ბერძნ. τέμνω ‘განკვეთა’) „ეწოდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი სიტყვის გაწყვეტას სხვა სიტყვის (ან სიტყვების) შუაში ჩასმით“ (შანიძე 1980: 259). ნიშანდობლივია, რომ ეს ტერმინი თავდაპირველად გამოიყენეს ჰომეროსის კომენტატორებმა¹, რომლებმაც მისი საშუალებით აღნიშნეს ფაქტობრივად იმის საპირისპირო პროცესი, რაც ამ სიტყვით იგულისხმება; სინამდვილეში ეს მოვლენა არის არა განკვეთა, არამედ აგლუტინაცია. „კლასიკურ ფილოლოგიაში ზმნისწინის ზმნისაგან სეპარაციას *ტმესი* ეწოდება; ამ ტერმინს მეცდომაში შევყავართ, რადგანაც იგი ემყარება იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც კლასიკური ბერძნულის ინვარიანტული უნივერზაცია ნორმას წარმოადგენს, მაშინ როცა სინამდვილეში ისტორიულად თავდაპირველად ისინი ცალ-ცალკე არსებობდნენ“ (ფორსტონი 2006: 231). ღირსსაცნობია, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული და აღიარებულია ქართული ენისათვისათვისაც² დამახასიათებელი დიაქრონიული სპეციფიკით გამოწვეული ეს

¹ თავდაპირველად იგი ამავე სახით გადაიღეს ლათინური ენის გრამატიკების ავტორებმა, მაგრამ მე-4 საუკუნეში ფლავიუს სოსიპატერ ქარისიუსმა და მისმა მიმდევრებმა მის ბადალად შემოიღეს ტერმინი „დიაკოპე“ (*diacope*) (ქარისიუსი 1997: 362), რომელმაც საბოლოო ჯამში ვერ მოიკიდა ფეხი საერთაშორისო საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაში.

² ტმესის მოვლენის დიაქრონიული განვითარების თვალსაზრისით შენიშნულია ტიპოლოგიური პარალელები ქართველური და ინდოევროპული ენებისათვის (შმიდტი 1969; ციხიშვილი 2020).

თავისებურება: „ტმესი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ზმნისწინიან ზმნებთან ძველ ქართულში, მას ხშირად ვხვდებით შემდეგაც. ზმნისწინს ერთგვარი დამოუკიდებლობა ჰქონია, ის აუცილებლად მიკრული არ არის ზმნაზე. დიდი არ არის ეს დამოუკიდებლობა, მაგრამ მაინც გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე“ (შანიძე 1980: 259). როგორც ვხედავთ, აქ აღიარებულია ის, რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს მიერთებასთან (აგლუტინაციასთან) და არა განკვეთასთან. აღნიშნული ცნებითი შეუთავსებლობა შედეგია არა იმდენად ოდენ სინქრონიული მიდგომისა ამ ენობრივი მოვლენის მიმართ, არამედ რეტროსპექტული დიაქრონიული განჭვრეტისა (როცა ათვლის წერტილად აღებულია თანამედროვე ვითარება), რის კვალადაც კონსტრუქცია *ზმნისწინი+ზმნა* მიჩნეულია ამოსავლად. ასეთ შემთხვევაში სულაც არ არის გასაკვირი ეს ტერმინოლოგიური და ცნებითი შეუსაბამობა. პროსპექტული დიაქრონიული მიდგომის მიხედვით (რისი გამოყენების საშუალებასაც გვამღევეს ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტები), ცხადი ხდება, რომ სინამდვილეში ეს მოვლენა თავდაპირველად ცალ-ცალკე არსებული ზმნისა და ზმნისწინის ერთმანეთთან მიერთების პროცესის ნაწილს წარმოადგენს. „მაშასადამე, ზმნისწინიანი ზმნის გაკვეთაო, რომ ვამბობთ, ეს დღევანდელი და ძველი ქართულის თვალსაზრისით სწორია, გენეტურად კი ტმესი სიტყვათა გარკვეულ თანმიმდევრობასთან არის დაკავშირებული, მისი გადმონაშთია. ტმესის მიხედვით, სინქრონიულად სიტყვათგანლაგება ასე წარმოგვიდგება: მიმართულების ზმნისართები (შემდეგში ზმნისწინები) + ადგილის, დროის, ვითარებისა და სხვა საგარემოებო ან მოდალური სიტყვა-ნაწილაკები + ზმნა; ან კიდევ ასე: სუბიექტი, ობიექტი, საგარემოებო ელემენტები, ზმნა. მაშასადამე, გვქონდა სიტყვათა გარკვეული რიგი და არ გვქონდა ტმესი. ამ მოვლენის გაჩენა გამოიწვია გეზისა და ორიენტაციის მაჩვენელი ზმნისართული სიტყვების ზმნურ ფუძეებთან თანდათანობითმა შეერთებამ“ (ცეციტიშვილი 1966: 135).

მაშასადამე, შეიძლება ცალსახად დავასკვნათ, რომ ინტერფიქსისა და ტმესის ცნებების აღრევას არანაირი კანონზომიერი საფუძველი არ აქვს.

როგორც ზემოთ უკვე გამოჩნდა, სულ სხვაგვარი ვითარებაა მაშინ, როცა საქმე ეხება ინფიქსს. ინფიქსი (<ლათ. in fixus „მიგ ჩართული“) ეწოდება სიტყვის ძირში/ფუძეში ჩართულ აფიქსს.¹

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ინფიქსი, როგორც ტერმინოლოგიური ოდენობა, არ გვხვდება საენათმეცნიერო ლიტერატურაში,² თუმცა ინფიქსი, როგორც ენობრივი მოვლენა, შენიშნული იყო, ოღონდ სუფიქსისაგან გაუმიჯნავად. სწორედ ამ პერიოდში განიხილეს იგი კოსტანტინო ნიგრამ, კარლ ბრუგმანმა, აუგუსტ ფიკმა, ფერდინანდ დე სოსიურმა და სხვებმა. როდესაც ინფიქსისა და ინტერფიქსის ცნებით და ტერმინოლოგიურ აღრევაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ კონკრეტული საენათმეცნიერო ტრადიციის თავისებურებები; მაგალითად, რომანულ ენათმეცნიერებაში ესპანურისა და მისი ახლო მონათესავე ენების სტრუქტურული მახასიათებლებიც უწყობენ ხელს ამ გარემოებას. სწორედ ამ ტრადიციის ფარგლებში არსებობს სპეციალური ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია მათი გამოიჯვნის წესები (დრესლერი 1986; მარტინ კამაჩო 2002). არიან ისეთი ავტორებიც, რომლებიც პრინციპულად და გაცხადებულად უარს ამბობენ ‘ინტერფიქსზე’ ‘ინფიქსის’ სასარგებლოდ (იხ. მაგ., ეტინგერი 1972). ჩვენთვის სრულიად მისაღებია შემდეგი მიდგომა: „ინფიქსები განსხვავდება ინტერფიქსებისაგან ბუნებით, ფორმით, ფუნქციითა და პოზიციით ... ერთადერთი მსგავსება, რამაც ისინი შესაძლოა ერთმანეთს დაუკავშიროს, შეიძლება იყოს ის, რომ ორივე მათგანი აფიქსებს განეკუთვნება, ოღონდ იმ პირობით, თუ ინტერფიქსი დააკმაყოფილებს აფიქსებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს“ (ჰეგედუმი 2013: 256). და მაინც, მიუხედავად იმისა, რომელი საენათმეცნიერო ტრადიციის ფარგლებშია შესრულებული ესა თუ ის ნაშრომი, ასეთი შემთხვევები კვლავაც პოვნიერია; მაგალითად, „დერივაციისას ზოგიერთი ბმული მორფემა მოსდევს თავისუფალ მორფემას, როგორც ეს გვაქვს სიტყვაში *fruitless*, ზოგი მის წინ დგას, როგორცაა სიტყვაში *unkind*, ხოლო

¹ მისი ქართული შესატყვისი ‘ჩასართი’ გვხვდება ჯერ კიდევ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიის სექციის სხდომათა (1922 წლის ოქტომბრიდან 1923 წლის 21 იანვრამდე) ოქმებში (თეთრაძე 2018: 109).

² 1887 წელს გამოცემულ „შედარებითი გრამატიკის“ პირველ ტომში კარლ ბრუგმანი საუბრობს მარცვლოვანი ძირის შუაში თავჩენილი ცხვირისმიერი თანხმოვნის შესახებ და აღიარებს, რომ იგი უნდა ყოფილიყო ან სუფიქსი ან ინფიქსი (ბრუგმანი 1887: 188).

ზოგიერთი მის შიგნითაც კია, როგორც ეს გვაქვს სიტყვაში *speedometer*. პირველ ტიპს ეწოდება *სუფიქსი*, მეორეს – *პრეფიქსი*, ხოლო მესამეს – *ინფიქსი*“ (დირვენი & ვერსპოორი 2004: 51). ნათელია, რომ მესამე მაგალითი აშკარა ინტერფიქსია და მას არაფერი საერთო არ აქვს ინფიქსთან; მსგავსი აღრევის შემთხვევები ქართულ სინამდვილეშიც გვაქვს.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ინტერფიქსი, როგორც ტერმინი და როგორც ცნება, სულაც არ გვხვდება ხშირად. ტმესთან მიმართებაში აღრევა არ შეინიშნება, რასაც ვერ ვიტყვით ინფიქსის შესახებ.

ღირსსაცნობია, რომ არის ისეთი შემთხვევაც, როცა ერთი აბზაცის ფარგლებში პოვნიერია სამი სხვადასხვა ტერმინი, რომლებიც ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავადაა გამოყენებული; ასე, მაგალითად, „თუ სვანურის *ინტერვოკალი* სემანტიკურად „და“ კავშირის ფარდია, ასევე დასაშვებია ქართულის *ინფიქსებისთვისაც მერთის* ფუნქციის მინიჭება. მ. საღლიანის ვარაუდით, ქართულის რედუპლიცირებულ ფუძეში *ინფიქსური* ხმოვანი ა სწორედ „და“ კავშირის ნაშთია“ [ხაზი ყველგან ჩემია – ზ.კ.] (გერსამია 2015: 82).

წარმოდგენილ ციტატაში სამი ტერმინი გავხაზეთ და მომდევნო შენიშვნებიც მათ ეხება:

1. *ინტერვოკალი* < ლათ. inter „შორის“ + vocalis „ხმოვანი“ = „ხმოვანთაშორისი“; აქ ავტორი მორფემათა შორის პოვნიერ ხმოვანს გულისხმობს.

2. *ინფიქსი* წარმოდგენს ძირის შიგნით ჩართულ აფიქსს, რომელიც ამა თუ იმ გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელია; ინტერფიქსი კი დაჩნდება ორ ძირს შორის და მას გრამატიკული მნიშვნელობა არ აქვს.

3. ცალკე აღებული *მერთი*, ე.ი. როგორც მონოლექსემური ტერმინი, ეწოდება მერთ ზმნას, მაგალითად, „ყოფნა“; მისი საერთაშორისო შესატყვისია *copula*. მაშასადამე, მისი ამდაგვარი გამოყენება შეუსაბამოა.¹

¹ მსგავსი შემთხვევები უფრო ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომშიც გვხვდება, რაც წარმოდგენს ზემოთ დამოწმებულის წყაროს: „ფუძეგორკეცებულ კომპოზიტებში ფუძეები ან უშუალოდ არის შეერთებული (*მერთის გარეშე*) – (ფარფატი), ან კავშირიანი (ფეხდაფეხ) და *მერთხმოვნიანი* (ტყაპატყუპი) შეერთება გვაქვს“ [ხაზი ორივეგან ჩემია – ზ.კ.] (სანიკიძე 1976: 36).

აი, კიდევ ერთი ამ მხრივ ღირსსაცნობი ციტატა: „ჩვენი აზრით, ქართულის არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიკაციის ამ ტიპში ან ი ხმოვანი იმთავითვე *მაერთის* [ხაზი ჩემია – ზ.კ.] ფუნქციისა უნდა ყოფილიყო.“ (იქვე: 82).

ამავე დროს ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „მაერთხმოვნიანი რედუპლიკაცია“, „მაერთებელი ხმოვანი“, „ინტერფიქსი“, „მაერთი ხმოვანი ანუ ინტერფიქსი“, რომლებიც ასევე გვხვდება ამავე სტატიაში, სრულიად ადეკვატურადაა გამოყენებული.

აღრევის შემთხვევებიც სხვაგანაც დასტურდება; ასე, მაგალითად, მ. საღლიანის ნაშრომის სათაურით თუ ვიმსჯელებთ („ინტერფიქსური (resp. „მაერთხმოვნიანი“ და „მაერთმარცვლიანი“) რედუპლიკაცია სვანურში“), ჩანს, რომ „ინტერფიქსული“ იგივეა, რაც „მაერთხმოვნიანი“ და „მაერთმარცვლიანი“, თუმცა სტატიის პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ: „სვანურში ფუძის გაორკეცვისას, ასევე, ხშირია ინფიქსად *მა-* მარცვლის ჩართვაც“ (საღლიანი 2015: 14).

მკაფიო საკლასიფიკაციო ნიშნების გამოყენების შედეგად აფიქსთა სხვადასხვა სახეობის ერთმანეთში აღრევა ნაკლებად სავარაუდოა. ამგვარ საკლასიფიკაციო ნიშნებს წარმოგვიდგენს ტ. გურგენიძე, რომელიც კრიტერიუმებად იღებს ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა ძირის და ძირით წყვეტა-უწყვეტობა; შესაბამისად, გვაქვს აფიქსთა ოთხი შესაძლებელი ტიპი: I. ძირის მწყვეტი და ძირით წყვეტილი, II. ძირის მწყვეტი და ძირით უწყვეტი, III. ძირის არამწყვეტი და ძირით წყვეტილი, IV. ძირის არამწყვეტი და ძირით უწყვეტი. ამ უკანასკნელს განეკუთვნება ინტერფიქსი, რომელიც „არის ისეთი აფიქსი, რომელიც აკავშირებს ფუძეებს რთულ ფორმაში“ (გურგენიძე 2015: 43; გურგენიძე 2016: 24). ამგვარი კლასიფიკაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთმანეთში ავურიოთ ინფიქსი და ინტერფიქსი, რადგანაც პირველი აფიქსთა მეორე ტიპს ეკუთვნის (ძირის მწყვეტი და ძირით უწყვეტი). აღსანიშნავია, რომ მოცემულ ნაშრომებში ავტორი ეყრდნობა ი. მელჩუკის პოზიციას, რომლის მიხედვითაც ინტერფიქსი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ძირთაშორის ოდენობას და განმარტებულია შემდგენიარად: „კონფიქსი (სახელდობრ, კონფიქსი,¹ რომელიც არ ჰყოფს ძირს და არც თვითონაა დაყოფილი), რომელიც წინ უძღვის ერთ ძირს და მოსდევს მეორეს; [...] ამგვარად, ინტერფიქსი გვხვდება მხოლოდ კომპოზიტებში და მის ფუნქციას

¹ აქ „კონფიქსი“ არ წარმოადგენს ცირკუმფიქსის ტერმინოლოგიურ სინონიმს.

წარმოადგენს ორი ძირის კომბინირების ჩვენება კომპოზიტის საწარმოებლად. სემანტიკურად ისინი ცარიელები არიან. რადგანაც ინტერფიქსებს არ აქვთ სხვა რაიმე სინტაქსური ფუნქცია, გარდა მორფოტაქტიკური კონკატენაციისა რთული სიტყვის ფარგლებში, ისინი უნდა მივაკუთვნოთ სიტყვათმაწარმოებელი აფიქსების კლასს“ (მელჩუკი 1982: 86). ჩვენთვის მისაღები და დასაყრდენია ტ. გურგენიძის მიდგომა და ი. მელჩუკის განმარტება; ამის საფუძველს გვაძლევს მათი ობიექტურობა, რაც მკაცრ საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს ემყარება.¹

ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავირიდოთ ორაზროვნება:² ცხადია, რომ ინტერფიქსი არის არა ანტესუფიქსი, არამედ ძირთაშორისი აფიქსი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულად მას შეიძლება ეწოდოს „შუასართი.“

სტატიის დასაწყისში ერთ-ერთ მიზნად დასახულ იქნა ის, რომ გაგვერკვია, რა არ არის ინტერფიქსი. როგორც დადგინდა, ანტესუფიქსის გარდა, ინტერფიქსი არ წარმოადგენს არც ტმესსა და არც ინფიქსს (მათ არაფერი აქვთ საერთო გარდა იმისა, რომ არცერთი მათგანი არ დაჩნდება სიტყვის აბსოლუტურ თავში ან ბოლოში). ფაქტია, რომ, რადგანაც, „ძირითადი“ აფიქსებისაგან განსხვავებით, ინტერფიქსს თითქოს არ უდასტურდება რაიმე გრამატიკული ან ლექსიკური მნიშვნელობა, მას ან არ აღიარებენ სრულფასოვან აფიქსად ან სადერივაციო აფიქსებთან აიგივებენ, რაც მხოლოდ მკაფიო საკლასიფიკაციო კრიტერიუმების არქონის ან უგულებელყოფის შემთხვევაშია შესაძლებელი.

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში უკვე გამოჩნდა, რომ ინტერფიქსები კონსტრუქციის მარკერის როლში გამოდიან. კონსტრუქციის მარკერის ცნება ენათმეცნიერებაში თავდაპირველად ჩარლზ ჰო-

¹ ამასთანავე, ჩვენ მხარს ვუჭერთ ტ. გურგენიძისეულ პოზიციას ინტერფიქსის სემანტიკური ასპექტის შესახებ: „თეორიულად სავსებით შესაძლებელია, რომ ორ ძირს შორის მოქცეული ელემენტი ზოგიერთ შემთხვევაში დამოუკიდებელი სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი იყოს. ამდენად, ინტერფიქსის გამორიცხვა კონფიქსთა სიმრავლიდან ჩვენთვის მიუღებელია“ (გურგენიძე 2016: 25).

² ზოგჯერ საკმაოდ ავტორიტეტული ავტორებიც კი ცდილობენ, რომ შეინარჩუნონ ერთი ტერმინი ორი, საკმაოდ განსხვავებული ენობრივი ერთეულის აღსანიშნავად; მაგალითად, გვთავაზობენ დამაზუსტებელ ტერმინებს: „ანტესუფიქსური ინტერფიქსები“ და „მორფთაშორისი ერთეულები“ (დრესლერი & მერლინი ბარბარეზი 1986).

კეტან (1954: 214) გვხვდება. ღირსსაცნობია, რომ არაერთი ავტორი ამჩნევს ინტერფიქსის, როგორც კონსტრუქციის მარკერის, ამ თავისებურებას და აზუსტებს კიდევ იმას, რა სახის კონსტრუქციებზეა საუბარი.¹ რა თქმა უნდა, ეს არის რთული სიტყვა, ანუ კომპოზიტი. ახალბერძნული ენის მასალის ტიპოლოგიურ ჩარჩოში ანალიზის კვალად ა. რალი ასკვნის, რომ ინტერფიქსი „წარმოადგენს მნიშვნელობის არმქონე მორფოლოგიურ ერთეულს, რომლის ფუნქციაა თხზვის სიტყვაწარმოებითი პროცესის აღნიშვნა“ (რალი 2008: 22). უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის მიუღებელია ინტერფიქსის „მნიშვნელობის არმქონე მორფოლოგიურ ერთეულად“ გამოცხადება; ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ტრადიციულად ნებისმიერი აფიქსი ან დერივაციულია ან რელაციური; მართალია, ინტერფიქსი არც ერთია და არც მეორე, მაგრამ ცხადად ჩანს, რომ მის „მხრებზე დგას“ იმ ფუძეთა შეკავშირება, რომელთა ერთობაც გარკვეული სახის თხზულ სიტყვას გვაძლევს. შესაბამისად, იგი სიტყვაწარმოებელი, კერძოდ, საკომპოზიციო აფიქსია. სხვადასხვა ენაში ინტერფიქსი შესაძლოა მოგვევლინოს სხვადასხვა სახის თხზული სიტყვის კომპონენტების შემკვრელად; ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც იგი ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში გვხვდება (ასეა გენეტიკურად და ტიპოლოგიურად

¹ ნიშანდობლივია, რომ ასეთ კონსტრუქციად ეს ლინგვისტები კომპოზიტებს მიიჩნევენ. ვ. დრესლერმა და ლ. მერლინი ბარბარეზიმ გამოკვეთეს ინტერფიქსის რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ ორი: 1. მას არ აქვს რაიმე სინტაქსური ფუნქცია, გარდა მორფოტაქტური კონკატენაციისა რთული სიტყვის ფარგლებში; 2. ჩვეულებრივი აფიქსებისაგან განსხვავებით, მას არ აქვს მნიშვნელობა, ე.ი. სემანტიკურად ცარიელია (დრესლერი & ბარბარეზი 1991: 133). „ტრადიციულად ინტერფიქსები [...] განიხილება როგორც ცარიელი მორფები, რომლებიც გვხვდება ორ თავისუფალ ელემენტს შორის კომპოზიტებში“ (ნაუმანი & ფოგელი 2000: 934). „ისინი, როგორც წესი, წარმოადგენენ მაერთებელ ერთეულებს მორფმათა ზღვარზე რთული სიტყვის ფარგლებში“ (ფლაიშერი 2000: 891). სპეციალურ ლიტერატურაში ასევე გვხვდება უფრო მკაცრი მიდგომა ცნებითი და ტერმინოლოგიური ატრიბუციის თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც, არაადეკვატურია ინტერფიქსის მიმართ პარალელურად ისეთი აღნიშვნების გამოყენება, როგორებიცაა 'სტრუქტემა' და 'სემანტემა'. „სტრუქტემას გამოყენება კიდევ დასაშვებია, რადგანაც სწორედ ამ აგებულების ფარგლებში იქმნება პირობები აბსტრაქტული, კონექტორული სემანტიკის რეალიზებისათვის, რაც ინტერფიქსის სტრუქტურული ფუნქციიდან გამომდინარეობს, და რაც გამოიწვევს ტერმინ 'სემანტემას' ვარგისიანობას, რადგან იგი შეესაბამება ლექსიკურ სემანტიკას და მოდელირებულია მის მიხედვით“ (დერეკიუვლიევი 2015: 942).

განსხვავებულ არაერთ ენაში). როგორც უკვე ვნახეთ, ქართულშიც ასეა: იგი ზოგიერთი სახის ფუძეგაორკეცებული, ტოლად შერწყმული კომპოზიტის მარკერია.

ლიტერატურა

ბარულინი 2017 – Барулин А. Н. О статусе и семантике так называемого «интерфикса» О/Е в русских композитах. *Лингвистика и методика преподавания иностранных языков*. Периодический сборник научных статей (электронное научное издание), Выпуск №9, 79-93.

(www.iling-ran.ru/library/sborniki/for_lang/2017_09/index.htm).

ბრუგმანი 1887 – Brugmann, K. *Grundriß der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen*. B. 1: *Einleitung und Lautlehre*. Strassburg: Karl J. Trübner.

ბულანჟე 1991 – Boulanger, J. C. Une lecture socioculturelle de la terminologie. *Cahiers de Linguistique Sociale* 18: 13-30.

გერსამია 2015 – რ. გერსამია, მაერთხმოვნიანი რედუბლიკაცია ქართველურ ენებში. ენათმეცნიერების საკითხები: 69-85.

გოდენი 1993 – Gaudin, F. Pour une socioterminologie: Des problèmes pratiques aux pratiques institutionnelles. Rouen: Publications de l'Université de Rouen.

გურგენიძე 2015 – ტ. გურგენიძე, აფიქსაციათა სახეები. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXVI: 43-44.

გურგენიძე 2016 – ტ. გურგენიძე, ინტერფიქსის ადგილი აფიქსთა სისტემაში. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესია; მასალები: 24-25.

დერეკიუვლიევი 2015 – Дерекювлив Т. По вопросу за интерфикса. Научни трудове на университет по хранителни технологии LXII. Пловдив, 2015: 939-944.

დირვენი & ვერსპორი 2004 – Dirven, R. Verspoor, M. *Cognitive Exploration of Language and Linguistics*. Amsterdam & Philadelphia: John Benjamins.

დრესლერი 1986 – Dressler, W. U. Forma y Función de los Interfijos. *Revista Española de Lingüística* 16: 381-395.

დრესლერი & მერლინი ბარბარეზი 1986 – Dressler, W. U. & Merlisi Barbaresi, L. How to fix interfixes? On the structure and pragmatics of Italian (and Spanish, Russian, Polish) antesuffixal interfixes and English “intermorphemic elements.” *Acta Linguistica Academiae Scientiarum Hungaricae* 36: 53-67.

დრესლერი & მერლინი ბარბარეზი 1991 – Dressler, W. U. & Merlini Barbaresi, L. Interradical interfixes: contact and contrast. *Languages in Contact and Contrast. Essays in Contact Linguistics*, ed. by V. Ivir & D. Kalogjera. Berlin & New York: Mouton de Gruyter: 133-145.

ეტინგერი 1972 – Ettinger, S. Das Problem des Infixes -/z/- beziehungsweise -// - im Portugiesischen und im Spanischen. *Vox Romanica* 31: 104-115.

ზემსკაია 2011 – Земская Е. А. Современный русский язык: Словообразование. Москва: Наука; Флинта.

თეთრაძე 2018 – მ. თეთრაძე, ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების გზა (საარქივო მასალებისა და პირველი ტერმინოლოგიური ლექსიკონების მიხედვით). *ტერმინოლოგიის საკითხები* III: 105-116.

იმაზი 2005 – Imaz Fernández de Casadevante, L. Causative infix in Spanish verbs. *ELUA. Estudios de Lingüística Universidad de Alicante* 19: 253-274.

იარცევა 1990 – Ярцева В. Н. (Гл. ред.). Лингвистический энциклопедический словарь. Москва: Советская энциклопедия.

იარცევა 1998 – Ярцева В. Н. (Гл. ред.). Большой энциклопедический словарь. Языкознание. Москва: Большая российская энциклопедия.

კიკვიძე 2017 – Kikvidze, Z. On the socioterminological approach to sociolinguistic terminography, 1: Idiolect. *Language in Professional Dimension: Communicative and Cultural Aspects*. Kharkiv: NUCZU: 167-169.

ლაუსბერგი 1953 – Lausberg, H. Kurze Enzeigen. *Romanische Forschungen* 65, ½: 224-231.

მალკილი 1949 – Malkiel, Y. Studies in the Hispanic Infix -eg-. *Language* 25/2: 139-181.

მალკილი 1958 – Malkiel, Y. Los interfijos hispánicos. *Estructuralismo e historia II: Miscelánea Homenaje a André Martinet*, ed. by D. Catalán. Tenerife: Universidad de La Laguna: 107-187.

მალკილი 1974 – Malkiel, Y. New Problems in Romance Interfixation (I): The Velar Insert in the Present Tense. *Romance Philology* 27/3: 304-355.

მარტინ კამაჩო 2002 – Martin Camacho, J. C. El problema lingüístico de los interfijos españoles. Cáceres: Universidad de Extremadura.

მატიაშევიჩი 2007 – Матијашевић, Ј. Интерфикси у руској и српској творбеној терминологији. *Зборник Матице Српске за филологију и лингвистику* XL/2: 253–258.

მელჩუკი 1982 – Mel'čuk, I. Towards a Language of Linguistics: A System of Formal Notions for Theoretical Morphology. München: W. Fink.

ნაუმანი & ფოგელი 2000 – Naumann, B. & Vogel, P. M. Derivation. Morphology. An International Handbook on Inflection and Word-formation, ed. by G. Booij, C. Lehmann, J. Mugdan. Berlin & New York: Walter de Gruyter: 929-943.

ნებიერიძე 1991 – გ. ნებიერიძე, *ენათმეცნიერების შესავალი*. განათლება, თბილისი.

ნეტებერგი 1961 – Netteberg, K. O funkcji konektywnej przyrostków. *Scando-Slavica* 7: 286-299.

პანოვი 1959 – Панов М. В. О грамматической форме. Ученые записки Московского городского педагогического института им. В. П. Потемкина, Т. 73. Вып. 6: 5-39.

პანოვი 1988 – Панов М. В. О причинах фонетических изменений. Влияние социальных факторов на функционирование и развитие языка, Ред. Ю. Д. Дешериев, Л. П. Крысин. Москва: Наука: 41-55.

რეფორმატსკი 1996 – Реформатский А. А. *Введение в языковедение*. Москва: Аспект Пресс.

როიხლინი 1506 – Reuchlin, J. Rudimenta Hebraica. Pforzheim.

სანიკიძე 1976 – ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული* III: 35-86.

საღლიანი 2015 – მ. საღლიანი, ინტერფიქსური (resp. „მაერთხმონიანი“ და „მაერთმარცვლიანი“) რედუბლიკაცია სვანურში. *კულტურათაშორისი კომუნიკაციები* 25: 14-28.

ტრუბეტკოვი 1934 – Trubetzkoy, N. Das morphologische System der russischen Sprache. Praha: Jednota Československýx Matematiků a Fysiků, & Leipzig: Otto Harrassowitz.

ფლაიშერი 2000 – Fleischer, W. Die Klassifikation von Wortbildungsprozessen. Morphology. An International Handbook on Inflection and

Word-formation, ed. by G. Booij, C. Lehmann, J. Mugdan. Berlin & New York: Walter de Gruyter: 886-897.

ფორსტონი 2006 – Forston, B. Proto-Indo-European Syntax. Encyclopedia of Language and Linguistics, ed. by Keith Brown. New York: Elsevier: 228-235.

ქარისიუსი 1997 – Charisius, F. S. *Ars Grammatica*, Libri V, ed by. K. Barwick. Berlin & New York: Walter de Gruyter, 1997.

ქეი 1989 – Kaye, A. S. Interfixation in English. Language Sciences 11/3: 337-341.

შანიძე 1980 – აკ. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*. თბუღლებანი 12 ტომად, ტომი III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

შაპირო 1967 – Shapiro, M. Concatenators and Russian Derivational Morphology. General Linguistics 7: 50-66.

შმიდტი 1969 – Schmidt, K.-H. Zur Tmesis in den Kartvelsprachen und ihren typologischen Parallelen in indogermanischen Sprachen. *თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: 96-105.

ციხიშვილი 2020 – ციხიშვილი, ნ. კიდეე ერთხელ ტმესის შესახებ ქართულში. *არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 79-ე სამეცნიერო სესია; მასალები*. თბილისი: 58-59.

ცქიტიშვილი 1966 – ნ. ცქიტიშვილი, ტმესი ძველ ქართულში. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია* 5: 130-142.

ჰეგედუში 2013 – Hegedűs, I. Unlikely infix-like elements in English: Critical remarks on the use of the term infix(ation). *Argumentum* 9: 162-177.

ჰოკეტი 1954 – Hockett, C. F. Two models of grammatical description. *Word* 10/2-3: 210-234.

ჰოლდემანი 1865 – Haldeman, S. S. *Affixes in Their Origin and Application: Exhibiting the Etymologic Structure of English Words*. Philadelphia: E. H. Butler & Co.

Zaal Kikvidze

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi

zaal.kikvidze@tsu.ge

Keywords: Interfix, Affix, Socioterminology.

An Interfix as a Term and Notion: A Socioterminological Approach

Summary

In the present paper, I adhere to socioterminology as a framework of my research due to the fact that it prefers a descriptive method to a prescriptive one; socioterminology studies terms (their origin, formation, relationship with other items) with respect to contexts in which they occur.

A socioterminological approach seems to be the most adequate choice for the study of interfix as a term and notion. This is necessary in order to view not only what is an interfix but also what is not an interfix.

In the linguistics literature, the term *interfix* (Lat. *inter* ‘between’ + *fixus* ‘fasten’) is predominantly used to refer to linguistic items of two kinds: 1) a unit devoid of lexical and grammatical meanings occurring at a junction of components within a compound; 2) a meaningless item occurring between a stem and a suffix.

Based on the analyses of data from various linguistics traditions, the following were established: 1) the earliest occurrence of the term interfix dates back to a book by S. Haldeman published in 1865; 2) the Russian linguistics tradition favors a declarative narrative that the term was introduced by A. M. Sukhotin in 1938; 3) in Romance linguistics, it has been acknowledged H. Lausberg’s and Y. Malkiel’s contribution to the circulation and establishment of the term.

As long as notional and terminological aspects are logically interconnected, the paper also discusses the notions of infix and tmesis; the problem lies in the confusion of notions.

The application of clear-cut classification features can greatly facilitate the avoidance of confusion about various kinds of affixes. Such classification features are provided by T. Gurgenidze who identifies four possible types of affixes among which we find IV. Not dividing the root and not divided by the root. It is where interfix belongs to: it “is an affix which connects stems within a compound form” (Gurgenidze 2015: 43). This classification does not allow the confusion of infix and interfix. It is based on I. Mel’čuk’s definition according to which it is only an interrational entity: “a confix [sc. a confix which neither divides the root nor is itself divided] which precedes a root and follows another root” (Mel’čuk 1982: 86).

Based on the discussion of abundant sources, the aforementioned classification, and typological data, I argue that an interfix is a compound marker.